

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი
2025-2028 წლები**

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	3
ისტორია	3
მდებარეობა	4
ფართობი.....	4
ბუნებრივ კლიმატური პირობები.....	4
მუნიციპალიტეტის დასახლებები	4
მუნიციპალიტეტის რუკა	5
მმართველობითი ორგანოები.....	6
მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა.....	6
მოსახლეობა	7
საჯარო დაწესებულებები	9
ღირშესანიშნაობები.....	9
ეკონომიკა	10
სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა	10
ბიუჯეტის შემოსულობები.....	11
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	13
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებში.....	13
შემოსულობები	15
გადასახდელები.....	17
ბიუჯეტის ბალანსი	18
2023-2024 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა	19
2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ინფორმაცია.....	24
თავი III. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები სამუალოვადიან პერიოდში.....	55
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	56
დასუფთავება და გარემოს დაცვა	59
განათლება	60
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	63
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	68
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	70

შესავალი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას.

გრძელვადიანი და მათალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას, მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოხონების გათვალისწინებისათვის.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტი ერთერთი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულია იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასახლებულია ქვის ხანიდან. ამის დასტურად ისტორიაში კარგად ცნობილი საკაჟიასა და საგვარჯილეს გამოქვაბულთა დასახელებაც კმარა. ადრე ბრინჯაოს ხანიდან ქალაქური ცხოვრების წესს ადასტურებს სკანდას ციხე-ქალაქის არსებობა. თერჯოლის ისტორიულ წარსულში ორი ქალაქი დომინირებს ჩიხორი და ჩხარი. აქ მდებარეობს მე-5-ე საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი სკანდას ციხე, სადაც გადიოდა დიდი სავაჭრო-საქარავნო „აბრეშუმის გზა“. გზის ეს ნაწილი გადიოდა შემდეგ პუნქტებზე(ქუთაისი-სიმონეთი-ძვერი- ჩხარი-სკანდა-ჩიხორი-ქვაცხე-კორბოული), რომლის ადმინისტრაციული ერთეული გახდა ჩხარი. იმდენად ცნობილი იყო ამ ქალაქის სახელი, რომ მისი ზეგავლენით მთელ მხარეს „ჩხარის ქვეყანასაც“ უწოდებდნენ.

ჩხართან ერთად მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა ქალაქი ჩიხორი, რომელიც მდინარე ძუსის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. აქ ფეოდალურ ხანაში კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა და ხელოსნობა.

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრამდე ჩხარი ოლქის ცენტრია. იმერეთის მაზრებად დაყოფის შემდეგ იგი შორაპნის მაზრას დაუქვემდებარეს რაიონის ცენტრის სტატუსით. 1929 წელს, მაზრების გაუქმების შემდეგ იგი კვლავ რაიონული ცენტრია, რომელიც ახალი ტერიტორიული მოწყობით აერთიანებდა 30 სოფელს და ერთ დაბას 7455 კომლითა და 40531 მცხოვრებით.

1950 წლის 5 სექტემბრიდან რაიონული ცენტრი თერჯოლაში გადმოიტანეს და შესაბამისად რაიონს თერჯოლის რაიონი ეწოდა. ქალაქ თერჯოლის, როგორც ადმინისტრაციული ცენტრის ისტორია 7 ათეულ წელს ითვლის. გადმოცემის თანახმად, ძველად ეს ტერიტორია დაფარული იყო ხშირი ტყით, რომელიც „სატურიად“ იწოდებოდა. ისტორიულ წყაროებსა და ეტიმოლოგიას თუ დავეყრდნობით სახელი თერჯოლა თეთრ ბჟოლას (ანუ თუთას) უნდა ნიშნავდეს.

მდებარეობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში იმერეთის დაბლობზე, ზღვის დონიდან 110-400 მეტრზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ქვეყნის მთავარი მაგისტრალი. მასზე გადის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: თერჯოლა- ტყიბული და ქუთაისი- ვარციხე. თერჯოლის მუნიციპალიტეტი დედაქალაქიდან 200კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ყველაზე ახლომდებარე რკინიგზის სადგური ზესტაფონია, ხოლო უახლოესი აეროპორტი კოპიტნარი. თერჯოლას დასავლეთით ესაზღვრება ქ.ქუთაისი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ზესტაფონის, ჩრდილოეთით ტყიბულის, ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭიათურის და სამხრეთით ბაღდადის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა მდინარეები, ესენია: ყვირილა, ჩოლაბური, ჩხარა, ძევრულა, ჭიშურა, ბუჯა, მაძარულა, ხაუჩა და სხვა.

ფართობი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ფართობი 35,750 ჰა-ია. მ.შ სახნავ-სათესი 21503 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 4571 ჰა, ტყის მასივი 10000 ჰა, საძოვრები 8726 ჰა. მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 0,5 %-ს, ხოლო იმერეთის რეგიონის 5,5%-ს შეადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორია 356.24 ათ.კვ.კმ-ია.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში ზღვის ტროპილული, საკმაოდ ნოტიო ჰავაა, რის გამოც ზამთარი ზომიერად ცივი იცის, ხოლო ზაფხული ცხელი. მდინარე ჩოლაბურის შესართავის ქვემოთ, იმერეთის დაბლობზე, ვიწრო ზოლად გრძელდება ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ჰავა, იცის რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ტერიტორიაზე მკვეთრადაა გამოხატული მუსონური ქარები. ვაკე და გორაკ-ბორცვიანი რელიეფია. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,8C, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 42 C.

მუნიციპალიტეტისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახიფათოა ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია, გვალვა, სეტყვა და მიწისძვრა.

მუნიციპალიტეტის დასახლებები


თერჯოლის მუნიციპალიტეტი შედგება ქ. თერჯოლისა და 18 ადმინისტრაციული ერთეულისაგან. ესენია: თუზი, ზედა საზანო, ალიუბანი, რუფოთი, ძევრი, ჩხარი, გოგნი, ღვანკითი, ახალთერჯოლა, ზედა სიმონეთი, ქვედა სიმონეთი, სიქთარვა, ეწერი, ბარდუბანი, ნახშირღელე, გოდოგანი, კვანჭირი და ჭოგნარი. ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი და 18 ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც გაერთიანებულია 45 სოფელი.

მას შტაბი 1 : 120 000



სიმბოლოები

- დასასრული პუნქტი
- მოსე
- რაიონის ცენტრი
- საკრებულოს ცენტრი
- სოფელი
- რკინიგზა
- გზები
- გზა და ელვის გზები
- საფრე გზები
- დასასრული პუნქტი
- სიმბოლოს ნიშნული
- სახელმწიფო გოდებური ქსელის ნიშნული
- საკონტროლო ნიშნული
- უღებელი
- ქობი
- გზა და წყალსადენი მდინარე
- წყარო
- წყარო
- წყაროსადენი
- ჭა
- კოლექტორი
- საკრებულოს საზღვარი



მმართველობითი ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან. მათგან 20 არჩეულია პროპორციული, ხოლო 10 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი პირველი მოადგილე და ორი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: იურიდიულ საკითხთა კომისია, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური მპს-ების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 19 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი თერჯოლა და 18 თემი.

მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა 2025-2028 წლებში უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე (როგორც საქართველოს, ასევე სხვა

ქვეყანის) წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შექმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მოსახლეობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2003 წლის მონაცემებით ცხოვრობდა 45567 ადამიანი. მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენენ. უახლესი მონაცემებით მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირებულია და 40302 ადამიანს შეადგენს, მათ შორის ქალაქ თერჯოლაში ცხოვრობს 5816, ხოლო 34486 მაცხოვრებელი განთავსებულია 45 სოფელში. მუნიციპალიტეტში დასახლებული 40302 მცხოვრებიდან 20184 მამაკაცია, ხოლო 20118 ქალბატონი. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 1,09%-ს, ხოლო იმერეთის რეგიონის 8.26%-ს. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 7959 პენსიონერი, სოციალური პაკეტით სარგებლობს ა) მკვეთრად გამოხატული (პირველი ჯგუფის) 375, ბ) მეორე ჯგუფის 1212, გ) მესამე ჯგუფის - 64 ბენეფიციარი, დ) 18 წლამდე ინვალიდი 92 ბავშვი, ე) მარჩენალდაკარგული - 191 ოჯახის 202 წევრი. ასევე, საარსებო შემწეობას იღებს 432 სოციალურად დაუცველი ოჯახი. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებული 144 ოჯახი 469 წევრით, მ. შორის ბინით დაკმაყოფილდა 44 ოჯახი. ასევე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველთა უსახლკარო 49 ოჯახს აუშენდა საცხოვრებელი სახლი.


მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ქვეყნის 64 მუნიციპალიტეტს შორის, თერჯოლის მუნიციპალიტეტი 30-ე ადგილზეა.

ცხრილი 1

	დასახლებული პუნქტი	რეგისტრირებული			სკოლამდელი (0-5 წლის)			სასკოლო (6-17 წლის)			პენსიონერი		
		სულ	კაცი	ქალი	სულ	ბიჭი	გოგო	სულ	ბიჭი	გოგო	სულ	კაცი (65 წლიდან)	ქალი (60 წლიდან)
1	ქალაქი თერჯოლა	5761	2781	2980	356	195	161	745	405	340	1270	375	895
2	ზედასაზანო	3447	1768	1679	253	140	113	412	220	192	675	256	419
3	ალისუბანი	2617	1322	1295	179	84	95	312	167	145	517	173	344
4	თუზი	2543	1309	1234	189	93	96	303	163	140	489	173	316
5	რუფოთი	2512	1263	1249	168	91	77	301	150	151	500	182	318
6	ღვანკითი	2411	1188	1223	182	88	94	285	152	133	488	169	319
7	ქვედა სიმონეთი	2279	1138	1141	140	78	62	236	129	107	427	144	283
8	სიქთარვა	2011	1010	1001	136	77	59	255	137	118	392	121	271
9	გოდოგანი	1988	1008	980	116	59	57	196	101	95	487	171	316
10	ნახშირდელე	1922	938	984	141	68	73	234	124	110	358	104	254
11	კვახჭირი	1796	904	892	132	58	74	192	107	85	425	144	281
12	ძევრი	1763	881	882	107	58	49	210	112	98	360	118	242
13	ახალთერჯოლა	1736	872	864	119	59	60	197	99	98	384	142	242

14	ეწერი	1686	862	824	120	62	58	176	96	80	324	111	213
15	ჭოგნარი	1675	825	850	121	54	67	178	90	88	324	102	222
16	ზედასიმონეთი	1573	821	752	80	40	40	186	107	79	377	143	234
17	ჩხარი	1483	716	767	103	54	49	151	83	68	327	105	222
18	ბარდუბანი	1654	816	848	106	53	53	183	98	85	365	121	244
19	გოგნი	505	245	261	26	10	16	59	32	27	143	44	99
	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	40302	20184	20118	2410	1226	1184	5257	2766	2491	8527	2967	5788

ცხრილი 2



ცხრილი 3

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,05%-ს, ხოლო, იმერეთის რეგიონის 5,5%-ს შეადგენს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით

დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3,787,000	69700
იმერეთის რეგიონი	507,000	6414
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	40531	356
პროცენტი საქართველოსთან	1,09%	0,5%
პროცენტი რეგიონთან	8,2%	5,5,0%

საჯარო დაწესებულებები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები.

მათ შორისაა:

24 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს -3571 მოსწავლე. აქედან, გოგო-1723 და ბიჭი - 1848. ერთი კერძო სკოლა, სადაც სწავლობს -150 მოსწავლე.

26 მუნიციპალური საბავშვო ბაღი-სააღმზრდელო პროცესს გადის -926 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი. აქედან, გოგო -460 და ბიჭი -466 .

4 ბიბლიოთეკა: საჯარო, საბავშვო, სოფელ სიქთარვის და სოფელ ჭოგნარის. დაწყებითი სამუსიკო განათლების ერთი და დაწყებითი სამხატვრო განათლების ერთი სკოლა.

18 სამედიცინო ამბულატორია.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი - სადაც სპორტის 13 სახეობას ეუფლება-370 ბავშვი. აქედან გოგო -54 და ბიჭი -316.

ფეხბურთის სტადიონი (მოზრდილთა და ბავშვთა)- სადაც ვარჯიშობს -54 ბავშვი.

ღირშესანიშნაობები

თერჯოლის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია ღირშესანიშნაობების სიმრავლით და მრავალფეროვნებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ სკანდის ჩრდილოეთით მდებარებს გვიანანტიკური ხანის თავდაცვითი ძეგლი სკანდას ციხე. სოფელ ჩხარში ოქონის გორაზე მდებარეობს ოქონის ტაძარი, ასევე ჩხარში მდებარეობს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, აქვე მდებარეობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ჩხარში მდებარეობს ასევე შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ- მუზეუმი. სოფელ საზანოში მდებარეობს ჩიხორის ციხე (გვიანი შუა საუკუნეების ძეგლი), სოფ ალისუბანში - ალავერდის წმინდა გიორგის სახ. ეკლესია. სოფ. ჭოგნარში მაცხოვრის სახელობის ეკლესია, სოფ ბარდუბანში უფლის სახელობის ტაძარი, სოფ ღვანკითში ღვთისმშობლის შობის (დედაღვთისას) სახელობის ტაძარი, სოფ ნაგარევი მდინარე ჭიშურაზე აგებულია „თამარის ქვის თაღიანი ხიდი. აქ გადიოდა ქუთაისი-თბილისის დიდი მარაგზა, ხიდი დღემდე მოქმედია.

სოფ ზედა სიმონეთში მდებარეობს ქართველი კლასიკოსი მწერლის დავით კლდიაშვილის და მისი ვაჟის -სერგო კლდიაშვილის სახლ -მუზეუმი. სოფ ძევრში კი

ქართველი კლასიკოსი მწერლის გრიგოლ რობაქიძის სახლ-მუზეუმი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია მღვიმეებით. მათ შორის აღსანიშნავია კარსტული წარმოშობის საგვარჯილეს, საკაჟიას და შავწყალას მღვიმეები. ამ მღვიმეებში ქვის ხანის ადამიანების ცხოვრების კვალი აღინიშნება. სტალაქტილების და სტალაგმიტების რაოდენობით გამოირჩევა ნავენახევის მღვიმე. მათი რაოდენობა მღვიმეში 120-ია, რაც ბევრად აღემატება სათაფლიისა და ახალი ათონის მღვიმეებში არსებულ სტალაგმიტების რიცხვს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, კერძოდ სოფელი ქვედა სიმონეთი მდიდარია სხვადასხვა სამკურნალო მიწისქვეშა წყლებით.

ეკონომიკა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მრეწველობა ემყარება ადგილობრივ ენერგეტიკულ, მინერალურ და სასოფლო-სამეურნეო რესურსებს. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ობიექტია ჰიდროელექტროსადგური ძევრულაჰესი, რომელიც 1956 წლიდან ფუნქციონირებს.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის წამყვანი დარგია მევენახეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეობა, მეტნაკლებად განვითარებულია ასევე მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და მეთხილეობა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია კლასიკური იმერული ღვინის წარმოებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბორიგენული ჯიშები: ციცქა, ცოლიკაური და ოცხანური საფერე. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობა-მეღვინეობაა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შპს „მეღვინეობა ხარება“ ვენახების სერიოზულ ფართობებს ფლობს, ასევე ახორციელებს მოსახლეობის მიერ წარმოებული ყურძნის შესყიდვა-გადამუშავებას, რომლისგან წარმოებული ღვინოები დიდი წარმატებით იყიდება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

მუნიციპალიტეტის დაბალი ზონის სოფლებში ბოლო წლებში საკმაოდ განვითარდა სასათბურე მეურნეობები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობენ, მაგრამ გათბობის სისტემების ხელმიუწვდომლობის გამო ზამთრის პერიოდში ორიენტირებულნი არიან ძირითადად მწვანილეული კულტურების წარმოებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ამ კულტურების ქარბწარმოებას და სეზონურ ფინანსურ ჩავარდნებს.

თაფლოვანი კულტურების რესურსების დიდი რაოდენობის მიუხედავად მუნიციპალიტეტში შედარებით ნაკლებადაა განვითარებული მეფუტკრეობა. მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია ვაჭრობა, რაც შეეხება მრეწველობას და მძიმე მრეწველობას, ნაკლებადაა განვითარებული.

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-ბათუმის დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალი. აგრეთვე, გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: თერჯოლა-ტყიბული და ქუთაისი-ვარციხე. ბოლო პერიოდში რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაახლოებით 85 კმ ადგილობრივი დანიშნულების გზას.

რამაც მკვეთრად გააუმჯობესა ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის კომუნიკაცია. სააშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელი იქნება რეაბილიტაცია ჩაუტარდეს დაახლოებით 6კმ გზას.

ქ. თერჯოლის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილია საკანალიზაციო სისტემა, რომელსაც არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობა, თვითონ ქსელი მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. მოსახლეობის აქტიური მოთხოვნაა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა მოხდეს ქ. თერჯოლის დარჩენილ ნაწილშიც. შესაბამისად, მერია გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობას.

ბიუჯეტის შემოსულობები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო გეგმა შეადგენს 20500.0 ათას ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვან ნაწილს (20200.0 ათას ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დღგ, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (15274.7 ათასი ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები წლების მიხედვით

დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი ფაქტი	2022 წელი ფაქტი	2023 წელი გეგმა	2023 წელი ფაქტი	2024 წელი დაზუსტებული გეგმა	2025 წელი გეგმა	2026 წელი პროგნოზი	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი
შემოსულობები	15 609,2	18 395,9	22 114,9	21 286,8	21 496,3	30 596,4	31 800,0	33 815,3	33 851,2	20 500,0	26 291,0	28 841,0	31 791,0
შემოსავლები	14 185,3	15 257,6	17 878,2	18 861,2	19 548,8	28 608,3	27 705,8	29 711,1	30 437,5	20 150,0	21 314,3	22 692,9	24 212,7
არაფინანსური აქტივების კლება	103,0	95,5	419,2	193,5	390,5	308,8	380,3	390,3	550,0	350,0	350,0	350,0	350,0
ფინანსური აქტივების კლება	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4 626,7	5 798,1	7 228,3
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთი წინა წლიდან	1 310,7	3 042,8	3 817,5	2 232,1	1 557,0	1 679,3	3 713,9	3 713,9	2 863,7				
შემოსავლები	14 185,3	15 257,6	17 878,2	18 861,2	19 548,8	28 608,3	27 705,8	29 711,1	30 437,5	20 150,0	21 314,3	22 692,9	24 212,7
გადასახადები	2 276,0	2 511,3	10 075,6	9 593,9	11 858,0	13 932,5	15 567,0	15 561,2	16 637,9	17 974,7	19 076,2	20 451,8	21 943,0
სამშენობის გადასახადი	869,7	779,5											
კონების გადასახადი	1 406,3	1 731,8	2 012,7	2 168,7	2 584,6	2 462,5	2 639,4	2 653,2	2 600,0	2 700,0	2 700,0	2 700,0	2 700,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	905,8	1 270,0	1 738,4	1 720,8	1 841,9	1 908,6	2 074,0	2 071,1	2 138,0	2 190,0	2 190,0	2 190,0	2 190,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	112,9	78,0	-105,6	22,7	290,8	65,7	69,8	69,9					
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	16,0	19,2	16,0	25,8	32,0	29,5	42,0	42,2	40,0	40,0	40,0	40,0	40,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,4			0,1			0,0	0,0					

არაკონ ომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	15,6	19,2	16,0	25,7	32,0	29,5	42,0	42,2	40,0	40,0	40,0	40,0	40,0
სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	72,6	68,3	69,3	71,4	91,7	96,2	103,8	105,7	87,0	110,0	110,0	110,0	110,0
ფიზიკურ პირებიდან	59,6	54,2	59,3	65,7	78,8	76,2	85,0	86,8	70,0	90,0	90,0	90,0	90,0
იურიდიუ ლ პირებიდან	13,0	14,1	10,0	5,7	12,9	20,0	18,8	18,9	17,0	20,0	20,0	20,0	20,0
არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	299,0	296,3	294,6	328,0	328,2	362,5	349,8	364,3	335,0	360,0	360,0	360,0	360,0
ფიზიკურ პირებიდან	19,2	43,6	42,0	35,3	32,0	54,7	41,8	43,7	35,0	40,0	40,0	40,0	40,0
იურიდიუ ლ პირებიდან	279,8	252,7	252,6	292,7	296,2	307,8	308,0	320,6	300,0	320,0	320,0	320,0	320,0
სხვა გადასახადები			8 062,9	7 425,2	9 273,4	11 470,0	12 927,6	12 908,0	14 037,9	15 274,7	16 376,2	17 751,8	19 243,0
გრანტები	11 064,2	11 897,6	6 863,8	8 415,3	6 880,7	13 715,6	10 580,5	12 580,5	11 350,8	300,0	360,0	360,0	400,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11 064,2	11 897,6	6 863,8	8 415,3	6 880,7	13 715,6	10 580,5	12 580,5	11 350,8	300,0	360,0	360,0	400,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 318,7	6 224,7	1 346,0	899,6	703,9	1 901,7	3 374,6	5 374,6	1 901,8	300,0	360,0	360,0	400,0
გათანაბრებ ითი ტრანსფერი	5 158,7	6 064,7					1 500,0	3 500,0					
მიზნობრივ ი ტრანსფერი დეკლარებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	1 346,0	499,6	703,9	1 301,7	1 874,6	1 874,6	1 901,8	300,0	360,0	360,0	400,0
ფინანსური დახმარება				400,0		600,0	0,0	0,0					
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 855,7	5 582,0	5 477,9	6 515,7	6 176,8	11 068,9	7 205,9	7 205,9	9 449,0	0,0	0,0	0,0	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	3 855,7	5 358,1	4 787,9	5 101,7	5 440,0	10 282,6	4 854,2	4 854,2	7 579,0				
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა			690,0	690,0	690,0	690,0	690,0	690,0	690,0				
სკოლა		223,9		724,0	46,8	96,3	196,7	196,7					
							0,0	0,0					
სხვა პროექტები	1 889,8	90,9	39,9	1 000,0	0,0	745,0	1 465,0	1 465,0	1 180,0	0,0	0,0	0,0	0,0
სტიქია	1 889,8	90,9	39,9	1 000,0		545,0	970,0	970,0	1 180,0				
საქართვე ლოს მთავრობის განკარგულება						200,0	495,0	495,0					
სხვა შემოსავლები	845,1	848,7	938,8	852,0	810,1	960,2	1 558,3	1 569,4	2 448,8	1 875,3	1 878,1	1 881,1	1 869,7
შემოსავლები საკუთრებიდან	352,6	497,4	429,8	433,9	479,3	537,6	506,0	506,7	760,0	670,0	670,0	670,0	670,0
პროცენტები	99,4	126,2	155,9	153,8	133,6	157,0	90,0	89,2	150,0	170,0	170,0	170,0	170,0
დივიდენდები							0,0	0,0					
რენტა	253,2	371,2	273,9	280,1	345,7	380,6	416,0	417,5	610,0	500,0	500,0	500,0	500,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	251,7	370,5	263,9	280,1	319,5	370,1	402,0	402,0	590,0	480,0	480,0	480,0	480,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,5	0,7	10,0		26,2	10,5	14,0	15,5	20,0	20,0	20,0	20,0	20,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	113,6	94,7	116,4	111,6	118,3	142,1	156,9	158,6	269,1	190,3	193,1	194,1	194,7
ადმინისტრაცი ული მოსაკრებლები და გადასახადები	100,0	80,4	100,3	97,1	102,1	127,3	144,7	145,8	255,0	175,0	179,3	177,9	177,7

სანებართვო მოსაკრებელი	29,1	13,4	17,8	11,6	18,8	12,3	26,9	26,9	25,0	25,0	29,3	27,9	27,7
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0,4		0,2			2,8	2,8					
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	70,9	66,5	82,5	85,3	83,3	115,0	115,0	116,1	230,0	150,0	150,0	150,0	150,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საკონკრეტო და მომსახურება	13,6	14,3	16,1	14,5	16,2	14,8	12,2	12,8	14,1	15,3	13,8	16,2	17,0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	13,6	14,3	16,1	14,5	16,2	14,8	12,2	12,8	14,1	15,3	13,8	16,2	17,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	316,6	229,5	261,7	168,3	118,1	171,9	875,0	879,1	1 404,7	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	62,3	27,1	130,9	138,2	94,4	108,6	20,4	25,0	15,0	15,0	15,0	17,0	5,0
არაფინანსური აქტივების კლება	103,0	95,5	419,2	193,5	390,5	308,8	380,3	390,3	550,0	350,0	350,0	350,0	350,0
ძირითადი აქტივები	16,7	73,9	382,5	101,1	44,8	99,8	176,3	186,3	250,0	100,0	100,0	100,0	100,0
მატერიალური მარაგები	-0,5	1,8					0,0	0,0					
არაწარმოებული აქტივები	86,8	19,8	36,7	92,4	345,7	209,0	204,0	204,0	300,0	250,0	250,0	250,0	250,0
მიწა	86,8	19,8	36,7	92,4	345,7	209,0	204,0	204,0	300,0	250,0	250,0	250,0	250,0
ფინანსური აქტივების კლება	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0			0,0	0,0	4 626,7	5 798,1	7 228,3
საშინაო	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4 626,7	5 798,1	7 228,3
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0			0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო							0,0	0,0					
საშინაო							0,0	0,0					

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე, ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა

შემდეგნაირად:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			
I. შემოსავლები	29 710,9	30 374,6	19 086,7	11 287,9	20 150,0	19 850,0	300,0	21 314,3	22 692,9	24 212,7
გადასახადები	15 561,2	16 637,9	16 637,9	-	17 974,7	17 974,7	-	19 076,2	20 451,8	21 943,0
გრანტები	12 580,5	11 287,9	-	11 287,9	300,0	-	300,0	360,0	360,0	400,0
სხვა შემოსავლები	1 569,2	2 448,8	2 448,8	-	1 875,3	1 875,3	-	1 878,1	1 881,1	1 869,7
II. ხარჯები	20 517,4	22 085,4	19 414,8	2 670,6	19 842,0	19 542,0	300,0	22 863,0	24 713,0	26 873,0
შრომის ანაზღაურება	3 279,3	3 360,0	3 360,0	-	3 640,0	3 640,0	-	4 004,0	4 404,4	4 844,8
საქონელი და მომსახურება	3 786,0	4 273,4	2 474,8	1 798,6	2 245,0	2 245,0	-	3 194,7	3 323,8	3 582,7
პროცენტი	21,2	37,0	37,0	-	37,0	37,0	-	37,0	37,0	37,0
სუბსიდიები	10 817,2	11 674,0	11 412,0	262,0	12 109,0	11 839,0	270,0	13 365,3	14 672,6	16 118,7
გრანტები	21,1	30,0	30,0	-	30,0	30,0	-	30,0	30,0	30,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 162,6	1 327,0	1 297,0	30,0	1 279,0	1 249,0	30,0	1 289,0	1 289,0	1 289,0
სხვა ხარჯები	1 430,0	1 384,0	804,0	580,0	502,0	502,0	-	943,0	956,2	970,7
III. საოპერაციო საღი	9 193,5	8 289,2	-	8 617,3	308,0	308,0	-	1 548,7	2 020,1	2 660,3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 985,7	11 094,9	1 950,4	9 144,5	250,0	250,0	-	3 020,0	3 720,0	4 510,0
ზრდა	10 376,0	11 644,9	2 500,4	9 144,5	600,0	600,0	-	3 370,0	4 070,0	4 860,0
კლება	390,3	550,0	550,0	-	350,0	350,0	-	350,0	350,0	350,0
V. მთლიანი საღი	- 792,2	- 805,7	- 278,5	- 527,2	58,0	58,0	-	4 568,7	5 740,1	7 170,3
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 850,2	- 863,7	- 336,5	- 527,2	-	-	-	4 626,7	5 798,1	7 228,3
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	850,2	863,7	336,5	527,2	-	-	-	4 626,7	5 798,1	7 228,3
ვალუტა და დეპოზიტები	850,2	863,7	336,5	527,2	-	-	-	4 626,7	5 798,1	7 228,3
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58,0	- 58,0	- 58,0	-	- 58,0	- 58,0	-	58,0	58,0	58,0
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგარეო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

კლება	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	58,0
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგარეო	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	58,0
სესხები	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	58,0
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	-	-	0,0	-	-	-	-	0,0	0,0	0,0

შემოსულობები

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2025-2028 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2025-2028 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების (ტრანსფერების) მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი. შესაბამისად, თერჯოლის ბიუჯეტის შემოსულობებში გათანაბრებითი ტრანსფერი არ არის მოცემული. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირეოდენი ზრდით შემდგომ წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას, ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2024 –2028 წლებში

დასახელება	ათასი ლარი					
	2023 წელი ფაქტი	2024 წელი დაზუსტებული გეგმა	2025 წელი გეგმა	2026 წელი პროგნოზი	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი
შემოსულობები	33 815,3	33 851,2	20 500,0	26 291,0	28 841,0	31 791,0
შემოსავლები	29 711,1	30 437,5	20 150,0	21 314,3	22 692,9	24 212,7
არაფინანსური აქტივების კლება	390,3	550,0	350,0	350,0	350,0	350,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	4 626,7	5 798,1	7 228,3
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთი წინა წლიდან	3 713,9	2 863,7				
შემოსავლები	29 711,1	30 437,5	20 150,0	21 314,3	22 692,9	24 212,7
გადასახადები	15 561,2	16 637,9	17 974,7	19 076,2	20 451,8	21 943,0

საშემოსავლო გადასახადი						
ქონების გადასახადი	2 653,2	2 600,0	2 700,0	2 700,0	2 700,0	2 700,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 071,1	2 138,0	2 190,0	2 190,0	2 190,0	2 190,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	69,9					
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	42,2	40,0	40,0	40,0	40,0	40,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0					
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	42,2	40,0	40,0	40,0	40,0	40,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	105,7	87,0	110,0	110,0	110,0	110,0
ფიზიკურ პირებიდან	86,8	70,0	90,0	90,0	90,0	90,0
იურიდიულ პირებიდან	18,9	17,0	20,0	20,0	20,0	20,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	364,3	335,0	360,0	360,0	360,0	360,0
ფიზიკურ პირებიდან	43,7	35,0	40,0	40,0	40,0	40,0
იურიდიულ პირებიდან	320,6	300,0	320,0	320,0	320,0	320,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0					
სხვა გადასახადები	12 908,0	14 037,9	15 274,7	16 376,2	17 751,8	19 243,0
გრანტები	12 580,5	11 350,8	300,0	360,0	360,0	400,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	12 580,5	11 350,8	300,0	360,0	360,0	400,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 374,6	1 901,8	300,0	360,0	360,0	400,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3 500,0					
მიზნობრივი ტრანსფერი დედეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 874,6	1 901,8	300,0	360,0	360,0	400,0
ფინანსური დახმარება	0,0					
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7 205,9	9 449,0	0,0	0,0	0,0	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	4 854,2	7 579,0				
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0	690,0				
სკოლა	196,7					
სხვა პროექტები	1 465,0	1 180,0	0,0	0,0	0,0	0,0
სტიქია	970,0	1 180,0				
საქართველოს მთავრობის განკარგულება	495,0					
სხვა შემოსავლები	1 569,4	2 448,8	1 875,3	1 878,1	1 881,1	1 869,7
შემოსავლები საკუთრებიდან	506,7	760,0	670,0	670,0	670,0	670,0
პროცენტები	89,2	150,0	170,0	170,0	170,0	170,0
დივიდენდები	0,0					
რენტა	417,5	610,0	500,0	500,0	500,0	500,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	402,0	590,0	480,0	480,0	480,0	480,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვადი (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	15,5	20,0	20,0	20,0	20,0	20,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0					
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	158,6	269,1	190,3	193,1	194,1	194,7

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	145,8	255,0	175,0	179,3	177,9	177,7
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,0					
სანებართვო მოსაკრებელი	26,9	25,0	25,0	29,3	27,9	27,7
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	116,1	230,0	150,0	150,0	150,0	150,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0					
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	12,8	14,1	15,3	13,8	16,2	17,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0					
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	12,8	14,1	15,3	13,8	16,2	17,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	879,1	1 404,7	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0					
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	25,0	15,0	15,0	15,0	17,0	5,0
არაფინანსური აქტივების კლება	390,3	550,0	350,0	350,0	350,0	350,0
ძირითადი აქტივები	186,3	250,0	100,0	100,0	100,0	100,0
მატერიალური მარაგები	0,0					
ფასეულობები	0,0					
არაწარმოებული აქტივები	204,0	300,0	250,0	250,0	250,0	250,0
მიწა	204,0	300,0	250,0	250,0	250,0	250,0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0,0					
ფინანსური აქტივების კლება		0,0	0,0	4 626,7	5 798,1	7 228,3
საშინაო	0,0	0,0	0,0	4 626,7	5 798,1	7 228,3
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა		0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0					
საშინაო	0,0					

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, მიღებული იქნა „მდგრადი განვითარების მიზნების თრჯოლის მუნიციპალური დოკუმენტი, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;
 დასუფთავება და გარემოს დაცვა;
 განათლება;
 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2025 –2028 წლებში

<i>ათასი ლარი</i>						
პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5 126,0	5 401,0	6 096,7	6 529,4	7 043,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12 848,5	1 420,0	3 820,0	4 630,0	5 620,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 780,0	3 000,0	3 700,0	4 030,0	4 393,0
04 00	განათლება	7 338,8	6 136,0	7 348,5	8 023,4	8 765,7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 590,0	2 773,0	3 174,8	3 457,3	3 768,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 105,0	1 770,0	2 151,0	2 171,0	2 201,0

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2024 –2028 წლებში

<i>ათასი ლარში</i>					
დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	30 374,6	20 150,0	21 314,3	22 692,9	24 212,7
გადასახადები	16 637,9	17 974,7	19 076,2	20 451,8	21 943,0
გრანტები	11 287,9	300,0	360,0	360,0	400,0
სხვა შემოსავლები	2 448,8	1 875,3	1 878,1	1 881,1	1 869,7
II. ხარჯები	22 085,4	19 842,0	22 863,0	24 713,0	26 873,0
შრომის ანაზღაურება	3 360,0	3 640,0	4 004,0	4 404,4	4 844,8
საქონელი და მომსახურება	4 273,4	2 245,0	3 194,7	3 323,8	3 582,7
პროცენტი	37,0	37,0	37,0	37,0	37,0
სუბსიდიები	11 674,0	12 109,0	13 365,3	14 672,6	16 118,7
გრანტები	30,0	30,0	30,0	30,0	30,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 327,0	1 279,0	1 289,0	1 289,0	1 289,0
სხვა ხარჯები	1 384,0	502,0	943,0	956,2	970,7

III. საოპერაციო საღდო	8 289,2	308,0	- 1 548,7	- 2 020,1	- 2 660,3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11 094,9	250,0	3 020,0	3 720,0	4 510,0
ზრდა	11 644,9	600,0	3 370,0	4 070,0	4 860,0
კლება	550,0	350,0	350,0	350,0	350,0
V. მთლიანი საღდო	- 2 805,7	58,0	- 4 568,7	- 5 740,1	- 7 170,3
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 2 863,7	-	- 4 626,7	- 5 798,1	- 7 228,3
კლება	2 863,7	-	4 626,7	5 798,1	7 228,3
ვალუტა და დეპოზიტები	2 863,7	-	4 626,7	5 798,1	7 228,3
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58,0	- 58,0	- 58,0	- 58,0	- 58,0
კლება	58,0	58,0	58,0	58,0	58,0
საგარეო	58,0	58,0	58,0	58,0	58,0
სესხები	58,0	58,0	58,0	58,0	58,0

2023-2024 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2022 წლის 20 დეკემბრის N27 დადგენილებით 16500.0 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 3713.9 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 880.4 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 2833.5 ათას ლარს.

2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 21-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 7-ჯერ და საკრებულოს მიერ 14-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 31800.0 ათასი ლარით.

2023 წლის ბიუჯეტის წლიური ფაქტიური შემოსულობები 33815.3 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 30915.4 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი დარჩა 2863.9 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 2336.7 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავლები 527.2 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის გადასახდელების საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია – 30951.4 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსებულია – 4575.6 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები დაფინანსებულია – 201.0 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსებულია - 3855.0 ათასი ლარით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსებულია –3629.3 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსებულია – 6386.3 ათასი ლარით: კომუნალური მეურნეობის განვითარება – 3123.2 ათასი ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსებულია – 1737.7 ათასი ლარით. გარე განათება

დაფინანსებულია – 464.4 ათასი ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დაფინანსებულია 1061.0 ათასი ლარით: პროექტირება და ზედამხედველობა დაფინანსებულია 321.0 ათასი ლარით და სოფლის პროექტები დაფინანსებულია 740.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია – 157.5 ათასი ლარით . საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია – 157.5 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 2364.8 ათასი ლარით მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 823.2 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი - 39.7 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია -783.5 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 1344.1 ათასი ლარით. მ/შორის: თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 275.6 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 283.3 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 218.9 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსებულია – 479.9 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 86.4 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსებულია – 68.0 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 129.5 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია – 49.5 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსებულია – 80.0 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 6819.5 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 118.9 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 3433.8 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსებულია 1795.5 ათასი ლარით.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსებულია - 1471.3 ათასი ლარით: მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 253.49 ათასი ლარით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსებულია 1217.9 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია – 1355.9 ათასი ლარით.

კრედიტორული დავალიანება 415.4 ათას ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება - 147.8 ათას ლარს შეადგენს. ასევე, გრძელვადიანი ვალდებულება არის - 2.5 ათასი ლარი.

2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრული იყო 100.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა მოხდა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით. 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 99.5 ათასი ლარი შეადგინა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით დაფინანსდა შემდეგი პროექტები: თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 472.1 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 281.7 ათასი ლარი და ათვისებულია

სრულად, ავტობანიდან ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამოყოფილია 260.7 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, თერჯოლის რაიონის სოფელ კვანჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 266,0 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა / რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 264.6 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად. თერჯოლის რაიონი სოფ. ქვ. აღისუბანი ზედა აღისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 263.2 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, ძვერი-ჩხარიეწერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 177.2 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, ჭალასთავთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 200.0 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 196.6 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად. ქალაქ თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 200.2 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად. სოფ. გოდოგანში ჭიჭინაძეების უბანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 246.2 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 95.0 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად, სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის გამოყოფილია 98.8 ათასი ლარი და ათვისებულია სრულად. სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მშენებლობაზე გამოყოფილია და გახარჯულია 866.0 ათასი ლარი, სოფ. ჩხარის ცენტრალურ წყალსადენში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით, სათავე რეზერვუარისა და მიმწოდებელი მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებზე გამოყოფილია და გახარჯულია 555.3 ათასი . ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოებისათვის გამოყოფილია 100.0 ათასი ლარი და გახარჯულია სრულად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 970.0 ათასი ლარი, ათვისებულია 675.5 ათასი ლარი.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან საანგარიშო წელს დაფინანსდა, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძვერში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1200.0 ათასი ლარით. 2023 წლის განმავლობაში ათვისებულია 1105.9 ათასი ლარი და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება - მოდერნიზაციის მიზნით, ქალაქ თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული დია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული შენობა- ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციაზე 2023 წელს დაიხარჯა 568.6 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე შესრულებულია 13378.0 ათასი ლარის სამუშაოები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებით 19150.0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2863.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 2336.5 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათას ლარს.

2024 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 5-ჯერ და საკრებულოს მიერ 6-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 33788.3 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 26371.2 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 25730.9 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 640.3 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 329.0 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 311.3 ათასი ლარი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის გადასახდელების საგასავლო ნაწილი დაგეგმილია – 33788.3 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსდება -5126.0 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსდება - 8136.5 ათასი ლარით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსდება –3780.0 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსდება – 4712.0 ათასი ლარით: კომუნალური მეურნეობის განვითარება – 2561.6 ათასი ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება – 540.4 ათასი ლარით. გარე განათება დაფინანსდება – 470.0 ათასი ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული სამუშაოები დაფინანსდება 1140.0 ათასი ლარით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდება 780.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება 380.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდება - 269.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდება – 269.0 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდება - 2590.0 ათასი ლარით:

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსდება – 940.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი - 40.0 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება -900.0 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსდება – 1445.0 ათასი ლარით. მ/შორის: თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება 290.0 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსდება - 300.0 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსდება –235.0 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსდება – 520.0 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსდება – 100.0 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსდება – 75.0 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსდება – 130.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსდება – 50.0 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსდება – 80.0 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსდება – 7338.8 ათასი ლარით.

